

შპს „ფრემ ეარი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	718534	457806	353663	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	342954	341843	266615	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	25368	33593	9085	
მარაგები	96531	113258	49451	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	96531	113258	49451	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	90346	66675	430623	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	530	614	699	
ძირითადი საშუალებები	116762	158392	213442	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1391025	1172181	1323578	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	74061	51307	37185	3.5
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21385			
საგადასახადო ვალდებულებები	28543	49819	151143	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	203885		370573	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		230200		
სულ ვალდებულებები	327874	331326	558901	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1063151	840855	764677	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1063151	840855	764677	3.6
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1391025	1172181	1323578	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი: _____ ზურაბ ზურაბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ფრემ ეარი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	2825799	2128747	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	677	8738	
- მომსახურების გაწევიდან	2825122	2120009	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1426984	-890498	3.7
- საწყისი მარაგები	-113258	-49451	
- მარაგების შესყიდვა	-1410257	-954305	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები	96531	113258	
საერთო მოგება	1398815	1238249	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-834073	648000	
ცვეთა და ამორტიზაცია	-51542	-57615	
საპროცენტო შემოსავალი		9717	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-19553	-7871	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-170563	77598	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-1075731	-781367	
საოპერაციო მოგება	323084	456882	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	7140	8620	3.9
მიღებული დივიდენდები	2030		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	5711	-207	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	337965	465295	
მოგების გადასახადის ხარჯი	-17350	-58368	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	320615	406927	3.10
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	320615	406927	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	840855	764677	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-98319	-330749	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1063151	840855	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი: _____ ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ფრემ ეარი"		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	354299	102524
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-8774	310292
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-93400	-314212
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	252125	98604
სავალუტო კურსის ეფექტი	8603	5539
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	457806	353663
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	718534	457806
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.		
დირექტორი: _____	ზურაბ ზურაბაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფრემ ეარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 27 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404949623, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 29-29ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561). კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელია გიორგი ზურაბაშვილი (პ/ნ 01011037792).

1.3. კომპანიის დირექტორია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მომსახურება, კერძოდ გათბობა-კონდიციონირება-წყალმომარაგების სამუშაოები. კომპანია სამუშაოებს ახორციელებს ლოკაციის 5 ადგილიდან, რომლიდანაც სამი არის ქ. თბილისში, ერთი - გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში და ერთი - ქ. ბათუმში.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2019 წელს შეადგენდა 50 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტორი ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის

საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი;

1 EUR=3.1553 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9913 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	52771	17357
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	583493	434279
ევრო საბანკო ანგარიშებზე	82262	6170
ინგლისური ფუნტი საბანკო ანგარიშებზე	7	0
სულ:	718534	457806

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	342954	338962
სავაჭრო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	0	2881
სულ:	342954	341843

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სარემონტო-სამშენებლო მასალები	93320	110684
საწვავ-საცხები მასალები	1008	1338
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2203	1236
სულ:	96531	113258

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონლისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
კომპიუტერები და აღჭურვილობა	3225	2236	1647	2636
ავეჯი და სხვა ინვენტარი	277	309	276.00	244
სხვა	6518	4636	2044	3926
ხელსაწყოები	2188	2455	2320	2053
მანქანა დანადგარები	546	192	4179	4533
სატრანსპორტო საშუალებები	104007	-27482	40992.00	145000
სულ:	116761	-17654	51458	158392
	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	530		84	614
სულ:	530	0	84	614
სულ ჯამი:	117291	-17654	51542	159006

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა: 2018 წლის ბოლოს - 133311 ლარი; 2019 წლის ბოლოს - 157286 ლარი;

3.5. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.20189	ნაშთი 31.12.20178მდგ
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	57537	37619
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	16524	13688
სულ:	74061	51307

3.6. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

2019 წლის მოგებიდან განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2019 წლის ბოლოს შედგება 2018 (ნაწილობრივ) და 2019 წელს მიღებული მოგებიდან, რომლის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.7. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მომსახურებით (გათბობა, კონდიციონირება, წყალმომარაგების სამუშაოები) მიღებული შემოსავლებიდან - **2120009** ლარი. ხოლო სარემონტო სამშენებლო მასალების გაყიდვიდან 8738 ლარი ამ მომსახურების გაწევაზე (სამუშაოების შესრულებაზე) გახარჯული სარემონტო-სამშენებლო მასალების თვითღირებულებაა - 882437 ლარი, ხოლო გაყიდული მასალების თვითღირებულება შეადენს 8061 ლარს რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შეკვეთების შესრულებამდე, გამოყენების პროცესში არსებული მასალები აღრიცხულია როგორც მარაგი.

2019 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მომსახურებით (გათბობა, კონდიციონირება, წყალმომარაგების სამუშაოები) მიღებული შემოსავლებიდან - **2825122** ლარი. სარემონტო სამშენებლო მასალების გაყიდვიდან 677 ლარი ამ მომსახურების გაწევაზე (სამუშაოების შესრულებაზე) გახარჯული სარემონტო-სამშენებლო მასალების თვითღირებულებაა - **1426397** ლარი, ხოლო გაყიდვებიდან **587** რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შეკვეთების შესრულებამდე, გამოყენების პროცესში არსებული მასალები აღრიცხულია როგორც მარაგი.

	2019 წელი	2018 წელი
გაწეულ მომსახურებაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	1426397	882437
თვითღირებულება მასალების რეალიზაციიდან	587	8061
სულ:	1426984	890498

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
საკონსულტაციო ხარჯები	13487	13220
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	1373	1293
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	46732	36754
დაზღვევის ხარჯები	6560	6009
საბანკო ხარჯები	14860	6863
კომერციული მიწები/ნაგებობების ხარჯები	37075	0
საკომუნიკაციო ხარჯები	4193	1441
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	46283	12586
სულ:	170563	78166

3.9. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2019 წელი	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	8661	10062
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-1521	-1442
სულ:	7140	8620

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2018 წლის მოგება-ზარალი 465295 ლარი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 58368 ლარით, რომელიც წარმოიშვა 2018 წელს 2016-2017 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად).

ანალოგიურად, კომპანიის 2019 წლის მოგება-ზარალი 337965 ლარი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 17350 ლარით, რომელიც წარმოიშვა 2019 წელს 2017 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის გამო, დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენა იქონია მხარეთა შორის არსებულმა ურთიერთობებმა.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

2020 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები. მენეჯმენტის შეფასებით, შექმნილ მდგომარეობას მის ძირითად მომხმარებლებზე არ უმოქმედია, რადგან კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას, რისი უფლებაც მას საგანგებო მდგომარეობის დროს ჰქონდა საქართველოს მთავრობის 23/03/2020 #181 დადგენილების თანახმად.

2020 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს "ფრეშ ეარი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: GEL

	ხაზგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	718534	457806	353663	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	342954	341843	266615	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგები	25368	33593	9085	3.3
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა მარაგი	96531	113258	49451	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	90846	66675	430623	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდივილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	530	614	699	
ძირითადი საშუალებები	116762	158392	213442	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1391025	1172181	1323578	
ვალდებულებები				
ფინანსური ოგარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	74061	51307	37185	35
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21385			
საგადასახადო ვალდებულებები	28543	49819	151143	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	203885		370573	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		230200		
სულ ვალდებულებები	327874	331326	558901	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციოკაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1063151	840855	764677	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1063151	840855	764677	3.6
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1391025	1172181	1323578	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის თარიღს 20.08.2020 წ.

დირექტორი:

ბ. ბერიძე

ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის განმარტებითი ნაწილი.



შპს "ფრეშ ეარი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	2825799	2128747	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	677	8738	
- მომსახურების გაწევიდან	2825122	2120009	
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1426984	-890498	3.7
- საწყისი მარაგები	-113258	-49451	
- მარაგების შესყიდვა	-1410257	-954305	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები	96531	113258	
საერთო მოგება	1398815	1238249	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-834073	648000	
ცვეთა და ამორტიზაცია	-51542	-57615	
საპროცენტო შემოსავალი		9717	
საპროცენტო ხარჯი			
ოჯარის ხარჯი	-19553	-7871	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-170563	-77598	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-107573	-781367	
საოპერაციო მოგება	323084	456882	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	7140	8620	3.9
მიღებული დივიდენდები	2030		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	5711	-207	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	337965	465295	
მოგების გადასახადის ხარჯი	-17350	-58368	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	320615	406927	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	320615	406927	3.10
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	840855	764677	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-98313	-330749	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1063151	840855	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად

დირექტორი:

[Handwritten Signature]

ურბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფი



ნაწილი.

შპს "ფრეშ ეარი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	354299	102524
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-8774	310292
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-93400	-314212
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	252125	98604
სავალუტო კურსის ეფექტი	8603	5539
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	457806	353663
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	718534	457806

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი:



ზურაბ ზურაბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

